საბაჟო სამართალდარღვევათა სახეები და ადმინისტრირების თავისებურებები საქართველოში

საზოგადოების ინფორმატიზაციის სწრაფი ტემპებით ზრდამ ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკის სრულ გამჭვირვალობას. მსოფლიო გლობალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის პრობლემა. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი როლი განეკუთვნება ოპტიმალური საბაჟო სისტემის შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვას. საბაჟო, უპირველეს ყოვლისა, გვევლინება ქვეყნის ეკონომიკის ინტერესების დამცველად. მისი მიზანია დადგენილი საბაჟო ტარიფებით საბაჟო ოპერაციების დაბეგვრის უზრუნველყოფა, ფისკალური აგენტის როლის შესრულება, სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებით საქონლის მოძრაობის მოქცევა იმ რეჟიმში, რომელსაც ტვირთის მფლობელი ითხოვს, ეკონომიკური ბაზრის დაცვას დემპინგის და სხვა არაკეთილსინდისიერი ექსპანსიისაგან. პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება, ქვეყნის, როგორც მსოფლიო გლობალიზაციის, მსოფლიო ეკონომიკის ნაწილის, მსოფლიოში ინტეგრაციის უზრუნველყოფა. საბაჟო ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ერთ–ერთი საშუალებაა, როგორც იმპორტის გადასახადების, ისე საბაჟო სამართალდარღვევათა ადმინისტრირების კუთხით.

რამინ ცინარიძე
ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ბიზნესის მართვის
დოქტორი, ასისტენტ
პროფესორი

მირზა ფუტკარაძე
ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
დოქტორანტი

საბაჟო სამართალდარღვევის შემადგენლობა წარმოადგენს სამართლის ნორმებით დადგენილი ნიშნების ერთობლიობას, რომელიც სავალდებულო და საკმარისია ქმედობის საბაჟო სამართალდარღვევად ცნობისა და პირის პასუხისგებაში მიცემისათვის. საბაჟო სამართალდარღვევისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

ა) *მართლსაწინააღმდეგო ქმედობა.* ქმედობა, რომელიც გარკვეულ ზიანს აყენებს საბაჟო სამართლის ნორმებით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მაგრამ არ არის დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევასთან, არ წარმოადგენს სამართალდარღვევას. მაგალითად, გადასახადის შემცირება კანონმდებლობაში არსებული თეთრი ლაქების გამოყენებით, არ განიხილება მართლსაწინააღმდეგო ქმედობად.

ბ) *ბრალეულობა.* ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ ქმედობა გაცნობიერებულია და ჩადენილია სწორედ აღნიშნული პირის მიერ.

გ) *ბრალეულ ქმედობასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.*

დ) *დასჯადობა,* ანუ ფინანსური სანქცია. საბაჟო კანონმდებლობის იმ ნორმის დარღვევა, რომლისთვისაც არ არის დადგენილი ფინანსური სანქციის გამოყენება, არ წარმოადგენს საბაჟო სამართალდარღვევას.

საბაჟო სამართალდარღვევის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები საბაჟო საზღვრის კვეთისას, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, ასევე სხვა სიკეთე, რომელიც დაცულია საბაჟო კანონმდებლობით.

საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტს წარმოადგენს პირი, რომელმაც ჩაიდინა ესა, თუ ის საბაჟო სამართალდარღვევა და რომელსაც კანონმდებლობით ეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნული საბაჟო სამართალდარღვევისათვის. საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტი შეიძლება იყოს საქონლის და სატრანსპორტო საშუალების საქართველოს საბაჟო

საზღვარზე გადამაადგილებელი პირი, რომლებიც პასუხისმგებელია საბაჟო გადასახდელების გადახდაზე. მაშასადამე, პასუხისმგებლობა საბაჟო სამართალდარღვევისათვის წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახეების ერთობლიობას. იგი ეკისრებათ საწარმოებს/ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს.

საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ, განიხილავენ და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ საბაჟო-საგადასახადო (შემოსავლების სამსახური) ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. საბაჟო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით. საბაჟო სამართალდარღვევისათვის საწარმოს/ორგანიზაციის მიმართ საგადასახადო სანქციის გამოყენება შესაბამისი საფუძვლების არსებობისას არ ათავისუფლებს მის თანამდებობის პირებს საქართველოს კანონმდებლობით დადგნილი ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი, ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.

დანაშაულის სტატისტიკა აჩვენებს, რომ საბაჟო დანაშაულთა რიცხვი, ეკონომკურ დანაშაულთა საერთო რაოდენობაში მათი მაღალი წილის მხედველობაში მიღებით, ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია. სტატისტიკური კვლევებით დადგენილია, რომ საქართველოში საბაჟო სამართალდარღვევების სუბიექტებს უმეტეს შემთხვევაში მამაკაცები წარმოადგენენ.

ექსპერტების მოსაზრებით, ბიუჯეტის მდგრადობისათვის უმჯობესია მთელი დატვირთვა სწორედ საგადასახადო შემოსავლებზე მოდიოდეს და არა სხვა ტიპის შემოსავლებზე, რადგან ისინი არამდგრადობით ხასიათდებიან. ეს მართლაც სწორი მიდგომაა. ჩვენის აზრით, სახელმწიფო მხოლოდ პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების იმედად ვერ იქნება. ერთხელ გაყიდი და მორჩა, ამ მხრივ გადადგმული ინსტიტუციური ნაბიჯები სწორია.

მეტი სიცხადისთვის, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით განვიხილოთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საბაჟო სამართალდარღვევებზე ადმინისტრირების ნორმების გამოყენებისა და საბაჟო სამართალდარღვევათა თავისებურებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, **პირის მიერ საქონლის წარდგენის/ზოგადი დეკლარირების/დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევა -**

იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ დღეზე 50 ლარის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1 000 ლარისა.

შენიშვნა: ამ ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ გამოიყენება, როდესაც საქონლის დეკლარირების ვადის დარღვევა იწვევს სასაქონლო ოპერაციის პირობების დარღვევას.

მაგალითი: თურქეთიდან „სარფის“ გავლით აზერბაიჯანის დანიშნულებით ტრანზიტულად გადაადგილდებოდა საქონლით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა. პორტალ „სარფში“გამოწერილი აღრიცხვის მოწმობით გადამზიდველს განესაზღვრა (საბაჟო გამშვებ პუნქტზე-შემდგომში სგპ) „წითელ-ხიდზე“ გამოცხადების ვადა – 5 მარტი (აღრიცხვის მოწმობის გამოწერიდან — 20 კალენდარული დღე). ავტომანქანა სგპ „წითელ ხიდზე“ გამოცხადდა:

ა) 8 მარტს; ბ) 20 მარტს; გ) 25 მარტს; დ) 30 მარტს.

აღნიშნულ სამართალდარღვევაზე სგპ-ს ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადამზიდველს სანქციის სახით დაეკისრება ჯარიმა – ყოველდაგვიანებულ სრულ/არასრულ დღეზე 50 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა, შესაბამისად აღნიშნულისა, გადამზიდვრლს სანქციის სახით დაეკისრება, ჯარიმა:

ა) 8 მარტს გამოცხადებისას – დაიგვიანა 3 დღე – ჯარიმა 150 ლარი /3X50/;

ბ) 20 მარტს გამოცხადებისას – დაიგვიანა 15 დღე – ჯარიმა 750 ლარი /15X50/;

გ) 25 მარტს გამოცხადებისას – დაიგვიანა 20 დღე – ჯარიმა 1000 ლარი /20X50/;

გ) 30 მარტს გამოცხადებისას – დაიგვიანა 25 დღე – ჯარიმა 1000 ლარი /20X50, შეზღუდვის, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარის გათვალიწინებით/.

განვიხილოთ ისეთი შემთხვევაც, როცა საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალების ზემოქმედებით.

მაგალითი: სომხეთის რესპუბლიკიდან სგპ „სადახლოს“ გავლით რუსეთის ფედერაციის დანიშნულებით ტრანზიტულად გადაადგილდებოდა საქონლით დატვირთული 2 სატვირთო ავტომანქანა. სგპ „სადახლოში“ პირველ მარტს გამოწერილი აღრიცხვის მოწმობებით ორივე გადამზიდველს განესაზღვრა სგპ „ყაზბეგში“ გამოცხადების ვადა – 21 მარტი (20 კალენდარული დღე). პირველი ავტომანქანა სგპ „ყაზბეგში“ გამოცხადდა 24 მარტს, მეორე –27 მარტს. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის 19 მარტიდან 22 მარტის ჩათვლით, დიდთოვლობის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-კობის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე, მისაბმელიანი და ნახევარმისაბმელიანი ტრანსპორტის მოძრაობა იყო აკრძალული. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პირს ამ კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეული იყო დაუძლეველი

ძალის მოქმედებით, აღნიშნულის გათვალისწინებით:

პირველი ავტომანქანის შემთხვევაში, ვინაიდან ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შემდეგ გადამზიდველმა უზრუნველყო საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების ადგილზე გამოცხადება აღრიცხვის მოწმობაში მითითებული დღეების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, მას არ დაეკისრა პასუხისმგებლობა გამოცხადების ვადის დარღვევისათვის.

მეორე ავტომანქანის შემთხვევაშიც ტვირთის გადაადგილების შეფერხება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის მოქმედებით, მაგრამ გადამზიდველმა მოძრაობის აღდგენის შემდეგაც ვერ უზრუნველყო საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების ადგილზე გამოცხადება აღრიცხვის მოწმობაში მითითებული დღეების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ, მოძრაობის აკრძალვამდე მას გადაადგილებისათვის მოწმობით განსაზღვრული ვადიდან (20 დღე) გამოყენებული ჰქონდა 18 დღე, შესაბამისად, მოძრაობის აღდგენიდან – 3 დღეში (23 — 26 მარტი) უნდა გამოცხადებულიყო დანიშნულების სგპ-ში.

რადგან ავტომანქანა სგპ-ში გამოცხადდა 27 მარტს, სგპ-ს ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადამზიდველს სანქციის სახით დაეკისრა ჯარიმა – 1 დაგვიანებულ დღეზე 50 ლარის ოდენობით.

მაგალითი: თურქეთიდან სგპ „სარფის“ გავლით აზერბაიჯანის დანიშნულებით ტრანზიტულად გადაადგილდებოდა საქონლით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა. სგპ „სარფში“ გამოწერილი აღრიცხვის მოწმობით გადამზიდველს განესაზღვრა სგპ „წითელ ხიდზე“ გამოცხადების ვადა – 5 მარტი.

3 მარტს საავტომობილო გზის ხაშური-გორის მონაკვეთზე აღნიშნულ ავტომანქანას დაეჯახა შემხვედრი სატრანსპორტო საშუალება და შემდგომი საგამოძიებო ქმედების ჩასატარებლად ტრანზიტულად მოძრავი სატვირთო ავტომანქანა გადაყვანილი იქნა სპეციალურ სადგომზე. 7 მარტს საგამოძიებო სამსახურის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სატრანსპორტო საშუალების გათავისუფლების თაობაზე და გადამზიდველს გადაეცა შესაბამისი დოკუმენტიც, რის შემდეგ ავტომანქანა დანიშნულების სგპ-ში „წითელი ხიდი“ გამოცხადდა 8 მარტს.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის მოქმედებით („სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით“), ხოლო ავტომანქანის გადაადგილების ნებართვის მიცემის შემდგომ, გადამზიდველმა უზრუნველყო საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების ადგილზე გამოცხადება აღრიცხვის მოწმობით განსაზღვრული დღეების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, მას არ დაეკისრა პასუხისმგებლობა გამოცხადების ვადის დარღვევისათვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა/მოცილება ან/და სხვაგვარად გაუვარგისება/განადგურება, ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაში ან კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაში შეღწევა

– იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად:

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის შენიშვნის შესაბამისად აღნიშნული მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა პირს არ დაეკისრება, თუ იდენტიფიკაციის საშუალებაზე შეინიშნება მცირე დაზიანება, არ არის დარღვეული მისი მთლიანობა და შეუძლებელია ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაში ან კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაში შეღწევა.

მაგალითი: თურქეთიდან სგპ“სარფის“ გავლით ტრანზიტულად გადაადგილდებოდა საქონლით დატვირთული სატრანსპორტო საშუალება სგპ „წითელი ხიდის“ დანიშნულებით. სგპ „სარფის“ ოფიცრის მიერ სატვირ-

თო ავტომანქანის მისაბმელზე დადებულ იქნა იდენტიფიკაციის საშუალება (1 ერთჯერადი ლუქი), რაც აღინიშნა აღრიცხვის მოწმობის შესაბამის გრაფაში.

სატვირთო ავტომანქანა სგპ-ში „წითელ ხიდი“ გამოცხადდა იდენტიფიკაციის საშუალების (ლუქის) გარეშე. სგპ-ის ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და გადამზიდველს სანქციის სახით დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

მაგალითი: აზერბაიჯანიდან სგპ „ლაგოდეხის“ გავლით ტრანზიტულად გადაადგილდებოდა საქონლით დატვირთული სატრანსპორტო საშუალება სგპ „სარფის“ დანიშნულებით. სგპ „ლაგოდეხის“ოფიცრის მიერ სატვირთო ავტომანქანის მისაბმელზე დადებულ იქნა იდენტიფიკაციის საშუალება (1 ერთჯერადი ლუქი), რაც აღინიშნა აღრიცხვის მოწმობის შესაბამის გრაფაში. სგპ „სარფში'' გა-მოცხადებულ სატვირთო ავტომანქანის შემოწმებისას მისაბმელზე ლუქი აღმოჩნდა მცირედ დაზიანებული, მაგრამ არ იყო დარღვეული მისი მთლიანობა და შეუძლებელი იყო ნიშადებულ სატრანსპორტო საშუალებაში შეღწევა. ამ შემთხვევაში კი გადამზიდველს პასუხისმგებლობა და შესაბამისი ფინანსური სანქცია არ დაეკისრება.

მაგალითი: აზერბაიჯანიდან სგპ „წითელი ხიდის“ გავლით ტრანზიტულად გადაადგილდებოდა საქონლით დატვირთული სატრანსპორტო საშუალება სგპ „ყაზბეგის“ დანიშნულებით. სგპ „წითელი ხიდის“ ოფიცრის მიერ სატვირთო ავტომანქანის მისაბმელზე დადებულ იქნა იდენტიფიკაციის საშუალება (2 ერთჯერადი ლუქი), რაც აღინიშნა აღრიცხვის მოწმობის შესაბამის გრაფაში. სგპ „ყაზბეგში“ სატვირთო ავტომანქანა გამოცხადდა ლუქებით, მაგრამ მისაბმელის „ბრეზენტი“ აღმოჩნდა დაზიანებული იმდენად, რომ შესაძლებელი იყო ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაში შეღწევა.

სგპ-ს ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და, იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა განმეორებით (ავტომანქანის მფლობელი (გადამზიდველი) 7 თვის წინ უკვე დაჯარიმებული იყო იგივე ქმედებისათვის), საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გადამზიდველს სანქციის სახით დაეკისრა ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით.

მაგალითი: აზერბაიჯანიდან სგპ „ლაგოდეხის“ გავლით ტრანზიტულად გადაადგილდებოდა საქონლით დატვირთული სატრანსპორტო საშუალება სგპ „სარფის“ დანიშნულებით. სგპ „ლაგოდეხის“ოფიცრის მიერ სატვირთო ავტომანქანის მისაბმელზე დადებულ იქნა იდენტიფიკაციის საშუალება (2 ერთჯერადი ლუქი), რაც აღინიშნა აღრიცხვის მოწმობის შესაბამის გრაფაში.

რიკოთის ურელტეხილზე გადასვლისას ავტოსატრანსპორტო საშუალება დაზიანდა, ხოლო გადამზიდველმა საგადასახადო ორგანოსათვის შეტყობინების გარეშე მოახდინა ლუქის ახსნა და საქონლის გადატვირთვა სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლითაც გამოცხადდა სგპ „სარფში“. სგპ-ის ოფიცრის მი ერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გადამზიდველს სანქციის სახით დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289–ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად:

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად –

იწვევს ვალდებული პირის (ამ მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებულის გარდა) დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, ან ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას.

მაგალითი: ფიზიკურმა პირმა საკუთარი მსუბუქი ავტომობილით სგპ „სარფის“ გავლით გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და სგპ-ს ოფიცერს განუცხადა, რომ ავტომანქანაში ჰქონდა მხოლოდ პირადი მოხმარების საგნები. ოფიცერმა ავტომანქანის დათვალიერებისას საბარგულში აღმოაჩინა ჩანთა 30 მობილური ტელეფონით.

არადეკლარირებულ საქონელზე ექსპერტის მიერ დადგენილმა საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 6000 ლარი. სგპ „სარფის“ ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საგადასახადო კოდექსის 289–ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, ფიზიკურ პირს სანქციის სახით დაეკისრა ჯარიმა არადეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების 100%-ის ოდენობით – 6000 ლარი. ამავე სამართალდარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ფიზიკურ პირს დაჯარიმების ნაცვლად ჩამოერთვას საქონელი, ან სატრანსპორტო საშუალება.

მოცემულ შემთხვევაში საქონლის ღირებულების თანხა აჭარბებს ხუთი ათას ლარს, მაგრამ არ განიხილება სისხლის სამართლის დანაშაულად, რადგან ადგილი არ ჰქონია მგზავრის მიერ სამალავით ან საქართველოს საბაჟო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გზით სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით საქონლის შემოტანას, როდესაც:

— კონტროლის გვერდის ავლა ნიშნავს საქონლის გადატანას ან გადმოტანას საქართველოს საბაჟო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გზით.

— საქონლის მალულად გადატანად ან გადმოტანად ითვლება საქონლის გადაადგილება სპეციალურად მოწყობილი სამალავის გამოყენებით ან შენიღბულად: სხეულზე დამაგრებით, სხვა საქონელში ან შეფუთვაში მოთავსებით, რომელიც არ არის განკუთვნილი საქონლის/ბარგის/ხელბარგის გადასაზიდად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289–ე მუხლის მე-11 ნაწილის შესაბამისად, იგივე სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში

ხდება ვალდებული პირის დაჯარიმება საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით ან უამისოდ.

მაგალითი: ფიზიკურმა პირმა საკუთარი მსუბუქი ავტომობილით სგპ „წითელი ხიდის“ გავლით გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და სგპ-ს ოფიცერს განუცხადა, რომ ავტომანქანაში მას ჰქონდა მხოლოდ პირადი მოხმარების საგნები. ავტომანქანის დათვალიერებისას ოფიცერმა ავტომობილის სალონში აღმოაჩინა ჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო სხვადასხვა სახეობის ახალი სპორტული ტანსაცმელი.

არადეკლარირებულ საქონელზე ექსპერტის მიერ დადგენილმა საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 4700 ლარი. ამასთან, მონაცემთა ბაზის მიხედვით დადგინდა, რომ ქმედება ჩადენილი იყო განმეორებით – ფიზიკური პირი ექვსი თვის წინ ანალოგიური სამართალდარღვევისათვის იყო დაჯარიმებული სგპ“სარფში“.

სგპ „წითელი ხიდის“ ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და ფიზიკურ პირს სანქციის სახით დაეკისრა: ჯარიმა არადეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების 100%-ის ოდენობით – 4700 ლარი და საქონლის ჩამორთმევა.

ამავე სამართალდარღვევის შემთხვევაში, ფიზიკურ პირს შეიძლება ჯარიმასთან ერთად ან მის ნაცვლად ჩამოერთვას საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289–ე მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად:

საქართველოს საბაჟო საზღვარზე 30 000 ლარიდან (ან სხვა ვალუტაში მისი ეკვივალენტიდან) 50 000 ლარამდე ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გადატანა ან გადმოტანა კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად -

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ან ამ საქონლის ჩამორთმევას.

მაგალითი: სგპ „წითელი ხიდის“ გავლით საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა ფიზიკურმა პირმა მსუბუქი ავტომობილით. სგპ-ს ოფიცრის შეკითხვაზე – ჰქონდა თუ არა კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი, პირმა უარი განაცხადა. ოფიცრის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ავტომანქანის დათვალიერების თაობაზე.

დათვალიერების შედეგად ავტომანქანის სალონში აღმოჩენილ იქნა 20 000 აშშ დოლარი (დაახლოებით 35 000 ლარი). საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულო დეკლარირებას ექვემდებარება 30 000 ლარზე მეტი ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების საქართველოში შემოტანა ან გატანა, რაზედაც ფიზიკურმა პირმა განმარტა, რომ მისთვის ცნობილი არ იყო აღნიშნულის თაობაზე.

აღნიშნულ სამართალდარღვევაზე სგპ-ს ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და, საგადასახადო კოდექსის 289–ე მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ფიზიკურმა პირმა გულწრფელად აღიარა მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა, რაც გამოწვეული იყო კანონის არცოდნით, ამასთან, აღნიშნული თანხა არ გადმოქონდა სპეციალური სამალავით, სანქციის სახით განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

ამავე სამართალდარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილი ოფიცრის მიერ შესაძლებელია (მიზანშეწონილია) მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მთლიანი თანხის ჩამორთმევის თაობაზე, თუ თანხა გადაადგილდება სპეციალური სამალავის გამოყენებით.

მაგალითად: სგპ „ლაგოდეხის“ გავლით ფიზიკურმა პირმა გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი საკუთარი ავტომობილით. ოფიცრის შეკითხვაზე – ჰქონდა თუ არა კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი, პირმა უარი განაცხადა. რისკების მართვის სისტემიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ოფიცრის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ავტომანქანის დათვალიერების თაობაზე.

დათვალიერების შედეგად ავტომანქანის სალონში ჩანთაში აღმოჩენილ იქნა 40 000 აშშ დოლარი (დაახლოებით 70 000 ლარი). საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულო დეკლარირებას ექვემდებარება 30 000 ლარზე მეტი ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების საქართველოში შემოტანა ან გატანა, რაზედაც ფიზიკურმა პირმა განმარტა, რომ მისთვის ცნობილი არ იყო აღნიშნულის თაობაზე. სგპ-ს ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საგადასახადო კოდექსის 289–ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ფიზიკურმა პირმა გულწრფელად აღიარა მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა, რაც გამოწვეული იყო კანონის არცოდნით, ამასთან, აღნიშნული თანხა არ გადმოქონდა სპეციალური სამალავით, სანქციის სახით განისაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

ამავე სამართალდარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილი ოფიცრის მიერ შესაძლებელია (მიზანშეწონილია) მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მთლიანი თანხის ჩამორთმევის თაობაზე, თუ თანხა გადმოაქვთ სპეციალური სამალავის გამოყენებით.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე ფიზიკური პირის მიერ 3 000 ლარამდე ღირებულების საქონლის გადატანა ან გადმოტანა კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ან ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას.

მაგალითი: ფ/პირმა საქართველოს საზღვარი სგპ „სარფში“ გადმოკვეთა ხელბარგით და სგპ-ს ოფიცერს განუცხადა, რომ თან აქვს მხოლოდ პირადი ნივთები. შემოწმებისას პირს აღმოაჩნდა ნახმარ ტანსაცმელში მოთავსებული ახალი საქონელი, რომლის რაოდენობა

და გადაადგილების ფორმა ნათლად მიუთითებდა, რომ ეკონომიკური საქმიანობისათვის იყო განკუთვნილი: 10 ცალი კაბა, 20 წყვილი წინდა, 15 ცალი კოლგოტი, 15 ცალი ქამარი. მალულად გადაადგილებულ საქონელზე ექსპერტის მიერ დადგენილმა საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 420 ლარი.

აღნიშნულ სამართალდარღვევაზე სგპ-ის ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საგადასახადო კოდექსის 289–ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, ფიზიკურ პირს სანქციის სახით დაეკისრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

მაგალითი: ფიზიკურმა პირმა საკუთარი მსუბუქი ავტომანქანით გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი სგპ „სარფის“ გავლით. მასთან გასაუბრების შემდეგ (პირს ჰქონდა საზღვრის ხშირი კვეთა; ინტერვიუს პერიოდში დაეტყო აღელვება; არადამაჯერებლად ასაბუთებდა საზღვრის ხშირად კვეთის მოტივს; ამასთან, ოფიცერმა გაიხსენა, რომ 3 დღის წინ ამავე პირმა გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით მოახდინა ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი საქონლის დეკლარირება, რაზედაც გამოთქვა გარკვეული უკმაყოფილება), სგპ-ს ოფიცერმა მიიღო ავტომანქანის დათვალიერების გადაწყვეტილება. დათვალიერების შედეგად ოფიცერმა ავტომანქანაში აღმოაჩინა სამალავი, საიდანაც ამოღებულ იქნა ახალი ტანსაცმელი: 15 ცალი ჯინსის შარვალი, 30 ცალი მაისური, 12 ცალი მობილური ტელეფონი.

მალულად გადაადგილებულ საქონელზე ექსპერტის მიერ დადგენილმა საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 2800 ლარი. აღნიშნულ სამართალდარღვევაზე სგპ-ს ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საგადასახადო კოდექსის 289–ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, ფიზიკურ პირს სანქციის სახით შეეფარდა მალულად გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა.

ამავე სამართალდარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია, ფიზიკურ პირს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის ნაცვლად შეეფარდოს ჯარიმა, ამასთან, სანქციის სახის განსაზღვრისას:

ა) მიზანშეუწონელია საქონლის ჩამორთმევით სანქციის გამოყენება ისეთი საქონლის შემთხვევაში, რომელიც ექვემდებარება არასატარიფო რეგულირებას (ასეთი საქონლის ჩამორთმევა შეიძლება განხორციელდეს უზრუნველყოფის საშუალების სახით ან განადგურების მიზნით);

ბ) სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას, თუ მასში აღმოჩენილია სპეციალურად მოწყობილი სამალავი.

მაგალითი: სგპ-ში „სადახლო“ საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა საქონლით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა. სგპ-ის ოფიცერმა მძღოლს მიმართა კითხვით, დალუქული სათავსოს გარდა



ავტომანქანაში ხომ არ ჰქონდა კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და აცნობა, რომ ასეთის არსებობის შემთხვევაში უნდა შეევსო ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია. მძღოლის განმარტებით, მას ავტომანქანის „კაბინაში“ ჰქონდა მისი პირადი მოხმარების ნივთები.

სგპ-ის ოფიცერმა დაათვალიერა ავტომანქანის სათავსები და „კაბინაში“ მძღოლის საწოლის ქვემოთ აღმოჩნდა 10 ბოთლი (7 ლიტრი) უაქციზო ალკოჰოლური სასმელი და 40 კოლოფი (800 ღერი) უაქციზო სიგარეტი. მალულად გადაადგილებულ საქონელზე ექსპერტის მიერ დადგენილმა საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 470 ლარი.

აღნიშნულ სამართალდარღვევაზე სგპ-ის ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა:

ა) საგადასახადო სამართალდარღვევისოქმი და საგადასახადო კოდექსის 289–ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, ფიზიკურ პირს (მძღოლს) სანქციის სახით დაეკისრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით;

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის.

აღნიშნულთან ერთად, განხორციელდა სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა ჯარიმის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით. არადეკლარირებული და აქციზური მარკის გარეშე გადაადგილებული საქონელი სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე დაილუქა ტომარაში და შენახული იქნა სგპ-ის დროებითი შენახვის საკანში, ხოლო მასალები გადაეცა საბაჟო დეპარტამენტის ანალიზისა და მეთოდოლოგიის სამმართველოს შემდგომი რეაგირებისათვის ქვემდებარეობისამებრ სასამართლოში გადაგზავნის მიზნით. სასამართლოს მიერ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155[2] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეფარდებულ იქნა ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით.

აქციზური მარკის გარეშე, წესების დარღვევით შემოტანილი და ჩამორთმეული საქონელი, რომელიც ჩამორთმევის მომენტიდან ითვლება სახელმწიფო საკუთრებად, მისი რეალიზაციის ან განადგურების მიზნით გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს.

მაგალითი: სგპ-ში „სადახლო" საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა სატვირთო ავტომანქანა. ავტომანქანის შემოწმებისას „კაბინაში" აღმოჩნდა სამალავი, რომლიდანაც სგპ-ის ოფიცრების მიერ ამოღებულ იქნა უაქციზო ალკოჰოლური სასმელი და უაქციზო სიგარეტი. მალულად გადაადგილებულ საქონელზე ექსპერტის მიერ დადგენილმა საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 2350 ლარი.

გამოვლენილ იქნა სამართალდარღვევა — აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა, როდესაც საქონლის ღირებულება აღემატება 2000 ლარს. მასალები დაუყოვნებლივ გადაეგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

მაგალითი: სგპ „სარფში" საქონლით დატვირთული სატვირთო ავტომანქანის შემოწმებისას, სგპ-ს ოფიცერმა ავტომანქანის მისაბმელზე აღმოაჩინა სამალავი, რომელშიც მოთავსებული იყო ტანსაცმელი. მალულად გადაადგილებულ სა-ქონელზე ექსპერტის მიერ დადგენილმა საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 8500 ლარი.

დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო — სამალავით საქონლის შემოტანა, რომლის ღირებულება აღემატება 5000 ლარს, მასალები დაუყოვნებლივ გადაეგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

მაგალითი: სგპ. „ლაგოდეხში" საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა ცარიელი სატვირთო ავტომობილი, რომელიც რისკის ანალიზის საფუძველზე მოხვდა წითელ დერეფანში. შემოწმებისას „კაბინაში" აღმოჩნდა ჭურჭელი 20 ლიტრი ბენზინით. რადგან მძღოლს ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ჰქონდა ჩადენილი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა და ინტერვიურების შედეგად სგპ-ს ოფიცერი დარწმუნდა, რომ სამართალდარღვევა გამოწვეული იყო მძღოლის კანონის არცოდნით, ფულადი ჯარიმის ნაცვლად მძღოლს მიეცა გაფრთხილება.

საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიერ კონტროლის ზონის დატოვება, ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გადატვირთვა ან გადმოტვირთვა, – იწვევს პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით იწვევს პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

მაგალითი: სგპ „სარფში" საქონლით დატვირთული სატვირთო ავტომანქანის მძღოლი არ დაელოდა ზოგადი დეკლარირების პროცედურის დასრულებას და საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმების გარეშე დატოვა კონტროლის ზონა. სგპ-ს უფლებამოსილი ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-15 ნაწილის შესა-ბამისად, სატვირთო ავტომობილის მძღოლს სანქციის სახით დაეკისრა

ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

განვიხილოთ მეორე შემთხვევაც: სგპ „სარფის“ გავლით გადამზიდველმა კონტეინერით შემოიტანა ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონელი, რაზედაც გამოიწერა აღრიცხვის მოწმობა. მოწმობაში, სხვა მონაცემებთან ერთად, შეტანილ იქნა სატრანსპორტო საშუალების, მისაბმელისა და კონტეინერის, და ლუქის ნომრები. გზაში ავტომანქანას შეექმნა ტექნიკური პრობლემები და გადამზიდველმა, საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, კონტეინერი გადაიტანა სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სგპ „წითელ ხიდზე“ კონტეინერი მიტანილ იქნა აღრიცხვის მოწმობით განსაღვრულ ვადაში და ლუქების დაუზიანებლად, სგპ-ს ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი (საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმების გარეშე საქონლის (კონტეინერის) გადატვირთვის გამო) და საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-15 ნაწილის შესაბამისად გადამზიდველს (ავტომანქანის მძღოლს) სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე ტრანზიტული გადაადგილებისათვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლის გადატანა ან გადმოტანა კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად იწვევს პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

მაგალითი: თურქეთიდან სგპ „სარფის“ გავლით აზერბაიჯანის დანიშნულებით ტრანზიტულად გადაადგილდებოდა საქონლით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა. გადამზიდველმა სგპ-ს ოფიცერს ზოგადი დეკლარირებისათვის წარუდგინა ინვოისი და სატრანსპორტო ზედდებული.

წარდგენილი დოკუმენტებით ირკვეოდა, რომ სატრანსპორტო საშუალებით ტრანზიტულად გადაადგილდებოდა 10 ტონა ცემენტი, რაზედაც შევსებული იქნა აღრიცხვის მოწმობა. ამასთან, სგპ-ის ოფიცერს ეჭვი შეეპარა დოკუმენტების სისწორეში, (კერძოდ, 25 ტონა ტვირთამწეობის სატრანსპორტო საშუალებით ხორციელდებოდა 10 ტონა ცემენტის გაადგილება) და ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სოფ. ადლიაში რენტგენო–სკანერის აპარატით შესამოწმებლად.

შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ავტომანქანაში ცემენტთან ერთად მოთავსებული იყო 12 ტონა არმატურა. სგპ-ს ოფიცრის მიერ შედგენილი იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის 25-ე ნაწილის შესაბამისად, გადამზიდველს სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მისი კანონიერი მოთხოვნის უგულებელყოფა, რამაც შეაფერხა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება იწვევს პირის დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით.

აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევი პირი დაჯარიმდება 2 000 ლარის ოდენობით.

მაგალითი: თურქეთიდან, სგპ „სარფის“ კონტროლის ზონაში შემოვიდა საქართველოს მოქალაქე. მისი კუთვნილი ბარგისა და ხელბარგის დათვალიერებისას, პირს აღმოაჩნდა დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი წონისა და ღირებულების საქონელი, რაზედაც სგპ-ს ოფიცერმა შესთავაზა დეკლარირების განხორციელება გამა-რტივებული საბაჟო დეკლარაციის შევსებით. საქონლის გაფორმებაზე მოქალაქემ კატეგორიული უარი განაცხადა და სგპ-ს უფლებამოსილი ოფიცრის ნებართვის გარეშე მოინდომა კონტროლის ზონის დატოვება საქონლით.

სგპ-ს უფლებამოსილი ოფიცრის და შემდგომ ცვლის უფროსის მიერ მოქალაქეს კიდევ ერთხელ მიეცა განმარტება, რომ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, საქონლის მიმართ უნდა განხორციელებულიყო შესაბამისი სასაქონლო ოპერაცია ან უკან გატანა ან სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნულზე მოქალაქემ სასტიკი უარი განაცხადა, სგპ-ს ტერიტორიაზე შექმნა კონფლიქტური სიტუაცია, რითაც შეაფერხა სახელმწიფო კონტროლის პროცედურების განხორციელება და სხვა მგზავრების გადაადგილება. ამასთან, მონაცემთა ბაზის მიხედვით დადგინდა, რომ ქმედება ჩადენილი იყო განმეორებით — ფიზიკური პირი შვიდი თვის წინ ანალოგიური სამართალდარღვევისათვის იყო დაჯარიმებული სგპ „წითელ ხიდზე“.

სგპ-ს ოფიცრის მიერ შედგენილ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საგადასახადო კოდექსის 277–ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ფიზიკურ პირს სანქციის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

ამრიგად, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა, ხოლო საბაჟო სამართალდარღვევად ითვლება საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებული პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამჟამად, იგივე კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

მართლსაწინააღმდეგო ქმედება ნიშნავს კანონმდებლობით დადგენილი წესის ან/და აკრძალვის დარღვევას მოქმედებით ან უმოქმედობით. ამასთან, საბაჟო სამართალდარღვევად ითვლება არა ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლისთვისაც საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

გარდა ამისა, საბაჟო სამართალდარღვევად არ ითვლება საგადასახადო და საბაჟო ორგანოების ან მათი წარმომადგენლების მართლსაწინააღმდეგო ქმედება. თუ ისინი ჩაიდენენ დანაშაულს, პასუხს აგებენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებით.

გადასახადის გადამხდელთა აზრით, საბაჟო სამართალდარღვევების გამომწვევი მიზეზები საგადასახადო და საბაჟო სისტემების არაეფექტურობის ბრალია. ისინი ამტკიცებენ, რომ არსებული საგადასახადო და საბაჟო სისტემები, მათი სისტემეტური განახლების მიუხედავად, გადამხდელებს აიძულებენ თავი აარიდონ გადასახადების გადახდას. თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ დანაშაულს ხშირად გადასახადის გადამხდელთა დაბალი საგადასახადო-საბაჟო და სამართლებრივი კულტურა, და ანგარებითი მოტივები განაპირობებს.

საბაჟო სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით უმთავრესია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და სამეურნეო სუბიექტების გადახდისუნარიანობის ზრდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფა, მათ შორის საგადასახადო და საბაჟო სამართალდარღვევის ცნების, სახების და პასუხისმგებლობის ზომების მკაფიოდ განსაზღვრის ნაწილში.

საბაჟო სამართალდარღვევათა ადმინისტრირება უმნიშვნელოვანესი ელემენტია სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის კონტროლისა და საბიუჯეტო შემოსავლების აკუმულირებისათვის, მაგრამ ამ მიზანთან ერთად საგადასახადო-საბაჟო ადმინისტრირება ისე უნდა ხორციელდებოდეს, რომ ხელი შეუწყოს საგადასახადო და საბაჟო კულტურის განვითარებას, რადგან სწორი და განვითარებული საგადასახადო-საბაჟო კულტურა იცავს სახელმწიფოს ჩრდილოვანი ეკონომიკისაგან და უადვილებს შემოსავლების შედინებას ბიუჯეტში.

უკანასკნელ პერიოდში განხორციელდა უამრავი ცვლილება საბაჟო სამართალდარღვევათა ადმინისტრირების შემსუბუქების კუთხით, მოხდა საბაჟო სამართალდარღვევებ ისათვის გათვალისწინებული ნორმების ნაწილის ცვლილება (შემცირება). განხორციელებულმა ცვლილებებმა და ახალი ინოვაციების დანერგვამ ნდობის ფაქტორის ამაღლება უნდა გამოიწვიოს, მაგრამ ხშირად ეს ცვლილებები და ინოვაციები კვლავინდებურად გაურკვეველი და დამაბნეველია, ადვილად შესაძლებელია მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრირება.

ჩვენის აზრით, საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესებისათვის უნდა იქნეს განხორციელებული შემდეგი მოქმედებები:

1. ჩამოყალიბდეს უფრო ნათელი და მარტივად გასაგები საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობა, რომელიც იქნება მყარი და არ დაჭირდება ცვლილებების და დამატებების შეტანა ისე ინტენსიურად როგორც ახლა;

2. საჭიროა უფრო მეტი ლოიალურობა და ადმინისტრირების შემსუბუქება, რათა გადასახადებმა მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია ბიზნესის სტიმულირება არ დაკარგოს და იგი თანდათან ბიზნესის დამრთგუნველ ფაქტორად არ ჩამოყალიბდეს.

საგადასახადო ადმინისტრირების მდგომარეობა და სამეწარმეო საქმიანობაზე მისი გავლენა დღეს უფრო უკეთესია ვიდრე უახლოეს წარსულში მაგრამ დამუშავება და კანონმდებლობის ორაზროვანი ნიუანსებისაგან გასუფთავება აუცილებელია.

აუცილებელია საბაჟო და საგადასახადო სფეროში საერთაშორისო ნორმების შემდგომი დაცვით უცხოური ქვეყნების მოწინავე გამოცდილების დანერგვა. საქართველოს საბაჟოსათვის მნიშვნელოვანი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მეზობელი ქვეყნების საბაჟო უწყებებთან ურთიერთობას.

საბაჟო-საგადასახადო ორგანო, ახალი პოლიტიკის წყალობით, მოწადინებულია თანამშრომლური ურთიერთობა დაამყაროს კეთილსინდისიერ გადამხდელებთან, ამიტომ გადამხდელებს ვურჩევთ, კოდექსით დადგენილი თავიანთი ვალდებულებების გათვითცნობიერებასთან ერთად საბაჟო-საგადასახადო ორგანოსაკენ გადადგას კეთილი დამოკიდებულების ნაბიჯი. ვფიქრობთ, სახელმწიფოსა და კეთილსინდისიერ გადამხდელს შორის პარტნიორული ურთიერთობები ორივე მხარისთვის მოიგებიანი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1). **ლორთქიფანიძე ვიქტორ** — „საბაჟო საქმის საფუძვლები“, თბ 2002წ.

2). **ლორთქიფანიძე ვიქტორ** — „საქართველოს საბაჟო კოდექსის კომენტარები“; თბ; 2001წ.

3). **ჯგერენაია ემზარ** — „საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები“; თბ; 2002წ.

4). **ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, ბაკურიძე ალი** -“საქართველოს საბაჟო კოდექსის კომენტარები“. თბ. 2004წ.

5). **ქარუმიძე ვახტანგ** — „საბაჟო საქმე“ თბ., 2002 წ.

6). **ტერაშვილი ნარიმან** — „საქართველოს საგადასახადო, საბაჟო პოლიტიკა“ თბ., 2007წ.

7). „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, 2014 წ.

8). „ინსტრუქცია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ,“ თბ., 2012 წ.

9). „მსოფლიო ქვეყნების საგადასახადო და საბაჟო სისტემები, თავისუფალი ეკონომიკური და საბაჟო ზონები“ საერთაშორისო ბიზნეს სამართალი, თბ. 2006 წ. გვ. 204.

10). **როგავა ზვიად** — „გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი თბილისი 202 გვ. 11

11). **ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ** — „საბაჟო საქმის თეორია,“ თბ., 2009 წ.

12). www.mof.ge — საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

13). www.statistics.ge — საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი.

14). www.rs.ge — საქართველოს შემოსავლების სამსახური.

ВЫДИ ТАМОЖЕННОГО ПРАВАНАРУШЕНИЯ И ОСОБЕННОСТИ АДМИНИСТРИРОВАНИЯ В ГРУЗИИ

Рамин Цинаридзе
Доктор администрированиа бизнеса, асистент професор
Батумского Государственного Университета им.Ш. Рустажели

Мирза Футкарадзе
Докторант Батумского Государственного Университета им.Ш. Рустажели

АННОТАЦИЯ

Мировая глобализация поставила на повестку дня проблему совершенствования форм и методов эффективного ведения внешнеполитической деятельности страны. В этом направлении одна из главных ролей отводится разработке и внедрению в практику оптимальной таможенной системы. Таможня в первую очередь является защитником интересов экономики страны. Её целью является обеспечение обложения таможенных операций установленными таможенными тарифами, выполнение роли фискального агента, в порядке, установленном государством оборот движения товара в том режиме, которого требует владелец товара, защита рынка экономики от демпинга и иной недобросовестной экспансии. Ведение протекционистской политики, обеспечение мировой интеграции страны, как части всемирной глобализации, мировой экономики. Таможня является одним из средств повышения бюджетных доходов, как за счет налога на импорт, так и за счет администрирования таможенных правонарушений.

Статистика преступлений показывает, что число таможенных преступлений с учетом их высокой доли в общем числе экономических преступлений, пока ещё очень высоко.

Налогово-таможенный орган, благодаря новой политике, стремиться установить сотруднические отношения с добропорядочными плательщиками, поэтому мы советуем налогоплательщикам, наряду с осознанием свих обязательств, установленных Кодексом, сделать шаг навстречу налогово-таможенного органа. Думаем, что партнерские взаимоотношения между государством и добропорядочными налогоплательщиками будут выгодными для обеих сторон.